ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 229 (20570) — ხუთშაბათი, 5 ოქტომბერი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

ეს ძნელი გადაწყვეტილებანი

საკავშირო საპარლამენტო კორესპონდენტები გვატყობინებენ კრემლიდან

შეფერხებით დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების დილის სხდომა 3 ოქტომბერს: დეპუტატები შეიკრიბნენ, რათა განეხილათ სსრ კავშირის მთავრობის ღონისძიებანი ქვეყნის ტრანსპორტის საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის, რაზეც წინა დღეს შეთანხმდნენ, მომხსენებელი კი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ა. ვორონინი — დარბაზში არ აღმოჩნდა.

ძალიან მალე ყველაფერი გაირკვა: პარლამენტის კომიტეტებსა და კომისიებს, რომლებიც მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად მუშაობენ, არ ეყოთ ღამე, რომ მთლიანად მოემზადებინათ დოკუმენტი, და დილის ათ საათზე მასზე მუშაობა ჯერ ისევ გრძელდებოდა.

თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა** წინადადება შეიტანა არ დაეკარგათ დრო და დაეწყოთ დღის წესრიგის შემდეგი საკითხის მოსმენა — „კოლექტიური შრომითი დავის (კონფლიქტების) გადაჭრის წესის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის პროექტი.

ეს პროექტი განიხილება მეორე წაკითხვით: მისი ძირითადი დებულებანი უკვე მოიწონეს პირველ სესიაზე, რის შემდეგაც დოკუმენტი იხვეწებოდა პარლამენტის კომიტეტებსა და კომისიებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს შრომის, ფასეებისა და სოციალური პოლიტიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ნ. ნ. გრიცენკომ**, რომელმაც კანონპროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა მისი შემუშავების მონაწილე მუდმივი ორგანოების სახელით, განაცხადა, რომ ამ დოკუმენტის ყველა ძირითადი დებულება განაზოგადებს დღევანდელ პრაქტიკას, მათ შორის საერთაშორისოსაც. დოკუმენტში გათვალისწინებულია წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც შემოვიდა კოლექტივებისაგან, მშრომელებისაგან, პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან, გამოითქვა პრესის გამოსვლებში.

განსახილველმა დოკუმენტმა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს გარდაქმნის მთელი საქმისათვის, დეპუტატებს მრავალი კითხვა აღუძრა. მათ უპასუხა მომხსენებელმა. სწორედ ისინი გახდა საყრდენი წერტილები კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის **ი. ხ. კალმიკოვის** გამოსვლისათვის. მან ამ კანონპროექტს უწოდა დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური სამართლებრივი დოკუმენტი, რომელმაც იურიდიულ ფარგლებში უნდა მოაქციოს ის საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებმაც ამ ბოლო თვეებში მოიცვა ჩვენი ქვეყანა. სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, არ შეიძლება დაუშვათ გარღვევები საზოგადოებრივი პროცესების მოძრაობაში. ამიტომ „გაფიცვების შესახებ კანონი“ საჭიროა, იგი ძირითადად მზად არის, და მისი მუხლობრივი განხილვის შემდეგ უმაღლეს საბჭოს ყველა საფუძველი აქვს მიიღოს იგი.

დღევანდელი სხდომის მიმდინარეობა, რომელიც აღსავსე იყო მრავალი ერთნაირად „ცხელი“ პრობლემების გადაჭრის გზების ძიებით, ჰგავდა მრავალპლანიან მოქმედებას, რომელშიც ერთდროულად ვითარდება რამდენიმე, თუმცა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, სიუჟეტური ხაზი. როგორც კი მზად იყო დოკუმენტი რკინიგზის ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის საბაზო დარგების საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ, კოლექტიური შრომითი დავის თაობაზე დისკუსია შეწყვიტეს და სიტყვა მისცეს **ლ. ა. ვორონინს.**

გააცნო რა დეპუტატებს მთავრობის მიერ კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტთან, მრეწველობის, ტრანსპორტის, შრომისა და სოციალური პოლიტიკის განვითარების საკითხთა კომისიებთან ერთად შემუშავებული დადგენილების პროექტი, მან აღნიშნა, რომ მისმა ავტორებმა ყურადღებით გააანალიზეს ყველა გამოსვლა და შეეცადნენ განეზოგადებინათ ძირითადი მომენტები. მათზე დაყრდნობით სამუშაო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება გახადოს დადგენილება უფრო მიზანმიმართული, არ გადაქცეს იგი ყოვლისმომცველ და ფართო დადგენილებად, შეეცადნენ არ გაემეორებინათ გაფიცვების შესახებ დოკუმენტის პროექტის დებულებანი.

გულმოდგინე მომზადების მიუხედავად, დადგენილების პროექტზე გამოითქვა მრავალი საწინააღმდეგო აზრი, წინადადება, დაზუსტება. კამათის დროს თავმჯდომარემ მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ ეს პრობლემა მთელ ქვეყანას აწუხებს, რადგან სახალხო მეურნეობაში ახლანდელ მწვავე სიტუაციაში გაჩნდა ტრანსპორტის, საბაზო საწარმოების მუშაობაში დეზორგანიზაციის ელემენტები. თუ ახლა კონტროლი არ დაეუწესეთ სიტუაციას, ამას შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს. ალბათ, საჭიროა იმ შემთხვევებში, როცა ისახება ანუ უკვე წარმოიშვა შეფერხებანი, დაუყოვნებლივ მივმართოთ კონკრეტულ ღონისძიებებს.

ორსაათიანი დისკუსიის შემდეგ სესია ვერ მივიდა ერთსულოვან აზრამდე. ამიტომ გადაწყდა დეპუტატთა და მთავრობის წევრთა ჯგუფს ნ. ი. რიჟკოვის მეთაურობით დაეკავოს დახვეწოს დოკუმენტი შესვენების დროს და წარმოადგინოს უმაღლესი საბჭოს სამსჯავროზე.

საღამოს სხდომის ბოლოს **ნ. ი. რიჟკოვმა** უმაღლეს საბჭოს წარუდგინა რკინიგზის ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის საბაზო დარგების შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ დადგენილების დამუშავების ვარიანტი. მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ მდგომარეობას, რომელიც დღეს ქვეყნის ეკონომიკაში იქმნება, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საბაზო დარგების მუშაობა. პირველ ყოვლისა, ეს ეხება რკინიგზის ტრანსპორტს, ხოლო ზოგიერთ რეგიონში საავტომობილო, აგრეთვე საბობ-ენერგეტიკულ კომპლექსსაც, მეტალურგიას, ქიმიას.

განხილვის შემდეგ უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „რკინიგზის ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის საბაზო დარგების შეუფერხებელი ფუნქციონირების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგადურთა საშემოდგომო მოსავალი

ქერჩის, ნოვოროსიისკის, გელენჯიკის რაიონებში საშემოდგომო თევზჭერას ეწევიან ბათუმის, ქობულეთის, სოხუმის, გაგრის და რესპუბლიკის სხვა მეურნეობების მეთევზეები.

სოხუმის მებადურთა კოლმეურნეობა ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. მარტო შარშან აქაურებმა დაიჭირეს დაახლოებით ორნახევარი ათასი ტონა ზეგეგმითი თევზი, წმინდა მოგებამ 1,2 მილიონ მანეთს გადააჭარბა. მებადურეებისათვის იღბლიანია წლევანდელი შემოდგომაც. მათ გეგმის გადაჭარბებით უკვე დაიჭირეს 250 ტონა თევზი.

სოხუმის მებადურთა კოლმეურნეობის საუკეთესო ეკიპაჟთა შორის ახახელებენ რს-96 ხეინერის მეზღვაურებს, რომლის კაპიტან-ბრიგადირია პეტრე კანკსიდი, იგი პრემიით დაჯილდოვდა მეხუთე კვარტალში წარმატებული მუშაობისათვის.

სურათებზე: რს-96 ხეინერის კაპიტან-ბრიგადირი პეტრე კანკსიდი ბათუმის სანაოსნო სახწავლებლის კურსდამთავრებული, შთამომავლობით მებადური, უკვე მე-15 წელია შრომობს კოლმეურნეობაში და იბრძვის უხვი ნადავლისათვის. თევზით სავსე მორიგი ტრალი ამოაქვთ ხეინერზე.

ირაკლი ჯოხონელიძის ფოტო. (სპეციფორმის ფოტოქრონიკა).



რთველი-89

როცა იმარჯვეს მეფეინახეებმა

ყითელწყაროს რაიონის ველ-მინდვრები და ვენახები ძირითადად შირაქის და ტარიბანას ურწყავ და ფიცს ადგილებშია მოქცეული. როცა წლევანდელი გაუთავებელი გვალვა მძვინვარებდა, ბევრმა სკეტიკოსმა ხელი ჩაიქნია, მორჩა, ამ რაიონიდან წყლს აღარაფერს აღარ უნდა ვილოდოთო. სახედნიეროდ, ხელი არ ჩაიქნიეს იმათ, ვის გარჯაზეც იყო დამოკიდებული მოსავლის ბედ-იღბალი. განსაკუთრებით იმარჯვეს მევენახეებმა. მართალია, როგორც კახეთის სხვა რაიონები, ვერც ნოთალწყაროელები შეახსოვლებენ ყურძნის წარმოების გიგმას, მაგრამ მათ მაინც და, როგორც ჩანს, სახელმწიფო მარანში აქ 30 ათას ტონაზე მეტ ყურძენს მიიტანენ. ამათ შორის, ვინც წლევანდელ მკაცრ გვალვას გაუძლო და სოფლის დოვლათი საუკეთესონი იყვნენ ქვეყნისადმი კოლმეურნეები.

შირაქში ქედების სოფლები გასული საუკუნის მიწურულში აშენდა. ზემო ქედში, არხილოსკალოსა და ქვემო ქედში ჩამოსახლდნენ მთიულები, გუდამაყრელები და ფშაველები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მთიელთა ქკეიანურ ჩამოსახლებას დიდმა ქართველმა პოეტმა ვაჟა-ფშაველამ დიდი ამაგი დასდო. მაშინ მთის ჭირბ მოსახლეობას არ ყოფნიდა სახნავ-სათესი. რომ ოტყვიან, „რკინის ქალამნები“ ეცვა, „რკინის ჯოხი“ ეჭირა დიდ ფშაველს და ისე დადიოდა, უმტკიცებდა მაღალ ჩინოსანთ, რომ შირაქის ნოყიერ მიწაზე მთიელთა დასახლება ამ ბაღლის სასიცოცხლო ინტერესებისათვის აუცილებელი იყო. დღეს ვაჟა-ფშაველა ვის არ უყვარს, მაგრამ ამ გრძნობაში ქედელებს ისე ადვილად ვერავინ ვაიჯიბრებს.

აი, ქვემო ქედი. ფშაველების დიდი და ღონიერი სოფელი. აქ ცნობილი მილიონერი კოლმეურნეობა აქვთ. იგი აქაურთა სახელოვანი წინაპრის ვაჟა-ფშაველას სახელს ატარებს.

დიდძალი მარცვლეული, მზესუმზირა და ყურძენი მოჰყავთ ქვემოქედელებს, ჯიშიანი ცხვარ-ძროხაც ჰყავთ. ყოველივე ამას მათივე გარჯა ემატება და ყოველწლიურად მრავლდება ბარაქა. შარშანაც 8 მილიონი მანეთის პროდუქცია შექმნეს. აქედან წმინდა მოგება 2 მილიონ 677 ათასი მანეთი დარჩათ.

როგორ გამოიყურებიან ქვემოქედელები წლეულ? კახეთში ხომ დიდი გვალვა მძვინვარებდა და ამ სტიქიას ისე არავინ დაუზარალებია, როგორც შირაქის ფიცხი სავარგულები.

ამის მიუხედავად ქვემოქედელმა მემინდვრეებმა შესძლეს ჰექტარზე საშუალოდ 8,5 ცენტნერი მზესუმზირა, 18 ცენტნერი ხორბალი და 33 ცენტნერი ქერი გაელეწათ. ვინც შირაქზე წლევანდელი გვალვა იხილა, ის ამ ნთქვამს ძნელად დაგეჯერებს, მაგრამ ყველაფერი ჭეშმარიტებაა და იგი სოფლის მშრომელთა გმირობაზე ლაპარაკობს.

ახლა ქვემოქედელებს საზაფხულო იალაღებზე საგვიმოზე ბევრად მეტი ცხვარ-ძროხა დაუდით. ასევე გათვალისწინებულზე მეტ ღორს ზვლიან. წლეულსაც სისტემატიურად ასრულებენ მეცხოველობაში ნამატის მიღების გეგმებს, მატყლის, ხორცისა და რძის წარმოების სახელმწიფო დავალებებს.

— ამგვარ რთულ კლიმატურ პირობებში როგორ მოახერხეთ ასეთი მოსავლის მიღება? — ვკითხეთ ქვემო ქედის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ზაურ ხუციურაულს.

— უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენთან ოჯარა დამკვიდრდა. მოგებულ მილიონებს შრომის ამ პროგრესულ მეთოდს უნდა ვუმადლოდეთ, როდესაც ადამიანის შრომის გასამრჯელო საბოლოო შედეგზე, ანუ მოსავალზეა დამოკიდებული, როგორ ისვენებთ? — ვკითხეთ გოგო-ბიჭებს.

— აქ ტელევიზორები გვაქვს, მაგნიტოფონები, მუსიკალური ინსტრუმენტები. სახელდახელო სპორტული მოედნებიც მოვაწყეთ. ყვირა დღეს ვისვენებთ, უფრო სწორად ზაურ ძიას ექსკურსიებზე დავყავართო.

ზაურ ძიას კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ეძახიან. ძალიან ემადლიერება ამ კაცს სოფლის ახალგაზრდობა. ბრიგადირი გულო უძილოური სახლობო ფრონტის წევრიც არის. ახლა რაკი თავმჯდომარე ჩვენს საუბარს არ ეწერება, თამამად ამბობს, რომ სოფლის თავკაცი მათი საუკეთესო მეგობარი და მრჩეველია, რასაც ვთხოვთ გვისრულებსო, — ამბობს ბრიგადირი.

— მაინც რა მოსთხოვეთ? — დავინტერესდით.

— მაგალითად, დადებითად გადაწყდა სოფელში ეკლესიის აშენების საკითხი. — თქვა გულო უძილაურმა.

— თავმჯდომარე სოფლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მოწყობას შეგვპირდა — თქვა ერთმა.

— მიუხედავად იმისა, რომ სარაინთაშორისო წყალსადენს 800 ათასი მანეთი გადავუხიცეთ, წყალს მაინც არ გვაწვდიან. ახლა საკუთარი ძალებით კიდევ დამატებით უნდა გამოვიყვანოთ სასმელი წყალი — დაუმატა მეორემ.

მერე ახალგაზრდები ალაპარაკდნენ იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობის გამგეობა ზურნავს ახალდაქორწინებულებზე, ქართველთა გამრავლებზე.

— სოფელში ერთი მორიდებული ახალგაზრდა კაცი გვყავს — თამაზ ბოძაშვილი. მეგობრებმა სიყვარულით „საწყალა“ შეეარქვით. 21 წლისაა. შეყვარებული ჰყავდა, ყოფილი თანაკლასელი გოგო. ცოლად ახლახანს შეირთო. კოლმეურნეობამ საჩუქრად ათასი მანეთი მისცა და კიდევ ერთ საქორწილოდ — ცხვარი, მოზვერი და 500 ლიტრი ღვინო.

— თამაზს ახლა „იღბალას“ ვეძახითო — სიცილით თქვა ვიღაცამ.

მერე საუბრისას ფრიად სასიამოვნო ამბები გაიხსენეს. ქვემოქედელელი კოლმეურნეების ყოველი ოჯახი მესამე შვილის დაბადებისას მიიღებს 500 მანეთს, 4 შვილის ყოლისას ათას მანეთს, მერე 1500 მანეთს და კიდევ რამდენ ქართველსაც შესძენს სამშობლოს, ჯილდოს თანხაც შესაბამისად გაიზრდება. ახალმოსახლეებს კოლმეურნეობა 2500 მანეთით ეხმარება.

— ვის დაიხმარნენ?

— აი, თუნდაც 4 შვილის მამას, როლანდ უძილაურს.

კოლმეურნეობა რომ ახალგაზრდობაზე ზრუნავს, იმითაც ჩანს, რომ შესანიშნავ სპორტულ კომპლექსს აშენებენ. აქ სპორტის სხვადასხვა სახეობებით გატაცებული ახალგაზრდებს წვრთნისა და დაოსტატებისათვის მშვენიერი პირობები ექნებათ.

— და მაინც თქვენს სოფელს, ვფიქრობთ, ერთი აუცილებელი რამ აკლია — ვუთხარით მერთველებს.

— მაგის შესახებაც იზრუნა კოლმეურნეობის გამგეობამ. — უმალ მიგვიხვდნენ ახალგაზრდები. მალე სოფლის ცენტრალურ ადგილას ჩვენი დიდი წინაპრის ვაჟა-ფშაველას ძეგლი აღიმართება...

მადლიერი შთამომავლობა სიკეთესა და ამაგს არავის დაუკარგავს.

ჯემალ ქურხული,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სოციალური სფერო

როგორ ვემზადებით გათბობის სეზონისათვის?

დაგვემშვიდობა ზაფხული, ძალას იკრებს შემოდგომა და იგი უკვე ხულ უფრო მეტად გვაგრძნობინებს, რომ მოახლოვდა პირიოდი, რომელიც მკაცრად გამოგვცდის, მოგვთხოვს, თუ რა ვიღონეთ განვლილ დროში მის შეხვედრად. ამბობენ, ზაფხული ზამთრის მეშაო. ალ ხულ მალე გამოჩნდება, როგორ გამოვიყენეთ იგი მოსამზადებლად, ვინ როგორი თადარიგი დაიჭირა იმისათვის, რომ არ იწუწუნოს ზამთარში და არ მოუვეს გაუთავებელ თავის მართლებას.

ზამთარი რომ ალარ გვწუალობს, ამაში ბოლო ხანს არაერთხელ დარწმუნდა საქართველო. რომ იტყვიან, მტერსაც არ უსურვებს კაცი ისეთ ზამთარს თუნდაც შარშან რომ გადავიტანეთ. თუმცა, დიდთოვლობასა და სიცივეს თუ მეტად არა, ნაკლებად არც მანამდე შევუწუწუნებივართ და დაუზარალებივართ. ჰოდა, თავად განსაჯეთ, როგორ უნდა შეეფასდეს ასეთ პირობებში, იმ ორგანიზაციის საქმიანობა, რომელსაც სათანადო ღონისძიებების განხორციელება ევალება, მაგრამ პრაქტიკულად თითქმის გულხელდაკრეფილი ელოდება ზამთარს.

როცა ზამთარზე ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა, ცხადია, ენერგოხისტემის მზადყოფნა უნდა გავთვალისწინოთ. საჭიროა ყველას ახსოვდეს ის მეტად არასასიამოვნო ფაქტი, რომ საქართველო ზამთარში ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტს განიცდის, რისი მიზეზიც სახაზო სიმძლავრეების უქონლობაა. ენერგეტიკის მზადყოფნასთან დაკავშირებული პრობლემა პრინციპული და ცალკე მჯელობის თემაა. ამიტომ, მასზე ახლო მომავალში განცალკევებულად ვილაპარაკებთ. დღეს კი ამ მხრივ რეპუბლიკის ხათბობის სახელმწიფო კომიტეტისა და კომუნალური მეურნეობისა და ხაყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ გაწეულ მუშაობას შევეხებით.

პირველი მათგანის სისტემაში, როგორც შევიტყვეთ, დროულად შედგომად 1989-1990 წლების ზამთრის სეზონისათვის მზადებას და გარკვეული შედეგისთვისაც მიუღწევიათ. მთლიანად შერსულდა გაზსადენების დარეგულირება, დამატებითი გაზის მარეგულირებელი პუნქტების, კათოდური სადგურების დამონტაჟებასთან, ამორტიზებული მიწისქვეშა გაზსადენის შეცვლასთან დაკავშირებული პროგრამით ნავარაუდევი სამუშაოები.

მეურნეობები დადგენილი პერიოდულობის შესაბამისად ეწევიან მიწისქვეშა და ზედაპირზე განლაგებული გაზსადენების, მარეგულირებელი ნაგებობების, სახლშიგა მილგაყვანილობებისა და გაზის ხელსაწყოების, კოროზიისაგან დამცავი დანადგარების ტექნიკურ მომსახურებასა და გეგმიურ-პროფილაქტიკურ რემონტს. საწარმოო ელექტროდანადგარების, ძალოვანი ელექტროკაბელების, გათბობის სხტემისა და სხვა ხათბობ-ენერგეტიკული მოწყობილობის დროულად და ხარისხიანად მომზადებისათვის, აგრეთვე შენობა-ნაგებობათა დამბუნებისათვის გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ოქტომბრის შუა რიცხვებამდე მთლიანად უნდა დამთავრდეს. დღეისათვის შერსულებულია ამ სამუშაოთა მოცულობის 80 პროცენტზე მეტი. კომიტეტის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ დარჩენილი სამუშაოები გრაფიკის მიხედვით იქნება რეალიზებული.

საუთრებულ კონტროლზეა აყვანილი და უნდა ვიმედოვნოთ, რომ ზამორის სეზონის დაწყებამდე, ბოლოს და ბოლოს, საქმეს თავი დაედგმება.

ნაკლოვანებებია სხვაგანაც. არადამაკმაყოფილებელია, მაგალითად, სენაკის ნავთობბაზის ჩიხის მდგომარეობა, შესაცვლელია საქვაბე მეურნეობის ძალოვანი კაბელი, მოსაწყობია ვაგზლისა და ბაქანი. გადაუდებელად უნდა დაიწყოს წნორის ნავთობბაზის მაზუთის მისაღებ-გასაცემი კომუნიკაციების რეკონსტრუქცია, ისინი ვერ აკმაყოფილებენ ტექნიკური მოთხოვნებს. გურჯაანის ნავთობბაზაში კი დასამონტაჟებელია მაზუთის ტუმბო, შესაკეთებელია ფიკი და ჯერჯერობით იცავს მას. შემოწმდეს, მთლიანად ნოემბრის დამდეგისათვის უნდა დამთავრდეს. რესპუბლიკის კომუნალური თბოენერგეტიკული მეურნეობის განვითარების პროგრამით მიმდინარეობს 36 ობიექტის მშენებლობა, რომელთაგან 12 წლეულსვე უნდა ამოქმედდეს. რვა ობიექტის მშენებლობის დამთავრება მესამე კვარტალის დამლევისთვის არის ნავარაუდევი. თვით სამინისტროს მეურნეობებმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაკვლება შეახურეს, მაგრამ უნდა. უმატონ ტემპს საქმალაქრწყვმშენმა და აგრომშენმა.

სამეურნეოროდ, ზოგჯერ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები კომუნალური მეურნეობის მოწესრიგებისათვის გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებას დაგვიანებით აფინანსებენ და საფრთხეს უქმნიან ზამთრისათვის მზადყოფნის სამუშაოთა დროულად შესრულებას. ეს, კერძოდ, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ვანის, ჭიათურის, სენაკის, ჩხოროწყუსა და ზოგიერთ სხვა რაიონს ეხება. მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში თხევადი ხათბობის შემოზიდვა მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო ფერხდება. მათ შორის გაწლავთ ქალაქები ბათუმი და სოხუმი, წალენჯიხა და დმანისის რაიონები.

უარყოფითად მოქმედებს ზამთრისათვის მზადებაზე კომუნალური მეურნეობების მილებით, ლითონნით, თბოენერგეტიკული მოწყობილობებით ურიგო მომარაგებაც. 90 ტონა სხვადასხვა ხახეობის ფოლადი გამოყოფილი მილებიდან აგვისტოს დამლევისათვის აქ მიღებული ჰქონდათ მხოლოდ 30 ტონა. სწორედ ამის გამო გვიანდება საქვაბეთა სარემონტო სამუშაოები დმანისში, კასპში, გურჯაანში, გარდაბანში, თიანეთში, თბოქსელებისა — ქარელში, კასპში, ლაგოდეხში.

საწყალსადენო-საკანალიზაციო მეურნეობებში ზამთრისათვის მზადება გასულ წლებთან შედარებით უფრო ადრე დაიწყეთ და არც თუ ცოტა მოუხერხეთ. წლეულს, სხვათაშორის, მარნეულში, გურჯაანში, ბოლნისსა და თეთრიწყაროში საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს ახალი წყალგაყვანილობანი.

საცხოვრებელი ფონდების ზამთროდ მზადყოფნისთვისაც შესრულდა საკმაოდ სოლიდური სამუშაოები. ამ მხრივ ათვისებულია 12 მილიონი მანეთი. შეკეთებულია 125 ათასი კვადრატული მეტრი სახურავი, 19 ათასი კვადრატული მეტრი ფასადი და კარი, 9 კილომეტრამდე საერთო სიგრძის ბინების შიდა თბოქსელები და სხვა.

მართალია საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტის სერთო გეგმა სრულდება, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ყველგან ყველაფერი წესრიგშია. სამხრეთ ოსეთში, მაგალითად, გეგმა ამ მხრივ მხოლოდ 76, ხოლო აჭარაში 87 პროცენტით შესრულდა. კიდევ უფრო უარესი მაჩვენებლები აქვთ ახალქალაქის, კასპის, ტყიბულის, სამტრედიის, ონის, წითელწყაროს რაიონებს. ამიტომაც აქაურმა სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა ქმედითი კონტროლი უნდა დაუწესონ ამ საკითხს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსათვის სახსრების გადარიცხვას. ეს საჭიროა საქვაბეების დროული შეკეთებისა და სარეზერვო სათბობის შეძენისათვის. ცოტა დრო რჩება, ზამთარი ისე მოგვადგება კარს, უკან მიბრუნებასაც ვერ მოვახერხებთ. ამთავითვე საჭირო მაქსიმალური პასუხისმგებლობა, თორემ მერე თავის გასამართლებელი მიზეზების ძიება და წუწუნი გვიან იქნება.

ხათბობის სახელმწიფო კომიტეტი უფლებამოსილია აღიკვეთოს რესურსების უთავბოლოდ ხარგებლობის ყველა შემთხვევა. ალბარ უნდა გამორდეს შემთხვევები, როცა შემოწმების შედეგად მრავალი სამინისტროსა და უწყების ორგანიზაციაში აღმოჩნდა, რომ ცოდად ხორცეულდება ტრანსპორტის რაციონალურ გამოყენებასთან, ტვირთზიდვის დროს საწვავსაპობი მასალების დაკარგვისათვის, წამატებებისა და თვალის აბეევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასთან დაკავშირებული ღონისძიებები. მრავალ ორგანიზაციას არ ჰქონდა ხათბობის ეკონომიის გეგმა-დავალება. ბევრი იყო საწვავის არადანიშნულების. ამებრ გამოყენების, შესრულებული სამუშაოების წამატებათა შემთხვევა.

ყველამ, ვინც ზამთრისათვის მზადებაში ჩამორჩა, მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს დრო და არსებული შეხაძლებლობები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ზოთა ამაშუკელი.

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ მიიღო ისრაელის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ამ ქვეყნის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, ისრაელის პარლამენტის წევრი ეფრაიმ გური.

ნოდარ ჭითანავამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსა და ისრაელის პირდაპირი ურთიერთობის — ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო ურთიერთობის განვითარებას. მან მადლობა გადაუხადა ამჟამად ისრაელში მცხოვრებ საქართველოს მკვიდრთ იმ დიდი წვლილისათვის, ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრობისა და საქმიანი თანამშრომლობის განმტკიცებაში რომ შეაქვთ.

საუბრის დროს კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ორი ქვეყნის კონტაქტები მტკიცდება და ფართოვდება. იქმნება ერთობლივი საწარმოები.

საქართველოსა და ისრაელს შორის ურთიერთობის შემდგომი გაფართოება პერსპექტივების განხილვისას საუბრის მონაწილეებმა მათ შორის დასახელეს ისეთი დარგები, როგორიც არის ეკოლოგია, დემოგრაფია, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და სხვა.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი, სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რაფიელ ელიგულაშვილი და სხვა ოფიციალური პირნი. (საპინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მწუხარებით იუწყებიან, რომ 81 წლისა გარდაიცვალა ქართული კულტურის ამაგდარი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სკკპ წევრი 1947 წლიდან, პერსონალური პენსიონერი

აპოლონ (გუგული) კონსტანტინეს ძე ციშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

ჭაბუ—სიმართლეს?

წნორის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოში გამართულ პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებას, როგორც პარტიის საღნაღის რაიკომის წარმომადგენელი, ესწრებოდა წნორის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ტრისტან ტოგონძე. ამით კრებაზე სიმართლის თქმას თავიდანვე ტახუ დაედო.

ხაქმე ის გახლავთ, რომ, როგორც თავად გენერალური დირექტორი აცხადებს, იგი ამასთან ერთად არის სატვირთო ავტოსატრანსპორტო სათაო საწარმოს დირექტორი. მაშ როგორ მოხდა, რომ თავისსავე საწარმოში ტ. ტოგონძე რაიკომის წარმომადგენლად მოგვევლინა პარტორგანიზაციის კრებაზე?

რაც იყო, იყო, კრება გაიმართა, წარმომადგენელმა ინფორმადგენლა, საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საწარმოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი ოთარ ჭაბაშვილი, შედგა კამათი, მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეფასებულ და მდივნად ისევ ძველი მდივანი აირჩიეს. ერთი სიტყვით, იყო ყველაფერი, მაგრამ არ იყო საფუძვლიანი კრიტიკა და თვითკრიტიკა.

ამის მიუხედავად, მომხსენებელმა მაინც მოიყვანა მთელი რიგი უარყოფითი ფაქტები. გაერთიანება სრულყოფილად, დროულად ვერ ამარაგებს სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს სათადარიგო ნაწილებით, საწვავ-საცხები მასალებით, სპბურავებით. ამასთან, გაერთიანების შემკეთებელ სახელოსნოში საწარმოს აკმაყოფილებს თითქმის არ არემონტებენო.

თქმით კი ითქვა, მაგრამ განა რაიმე შეიცვლება? აი ახლაც, რაიონში რთველია, მაგრამ სატვირთო ავტომანქანებისა და ავტობუსების დიდი ნაწილი გაჩერებულია, არ მუშობს იმის გამო, რომ ბენზინი არა აქვთ. სახლოსე მანქანა აღებსა და ორმოებთან გადატანასაც მანქანები სჭირდება, არც კოლმეურნეობებს აქვთ საკმარ ბენზინი. რა თქმა უნდა, საწვავის უკმარისობა გაერთიანების ბრალი არ არის, მაგრამ რაც მათზეა დამოკიდებული, ისიც ნაკლებად კეთდება.

ახლად არჩეულმა პარტორგანიზაციის მდივანმა ოთარ ჭაბაშვილმა კრების შემდეგ თქვა: სატვირთო ავტომანქანის შოფრის საშუალო ხელფასი 220 მანეთია. თუ წარმოვიდგენთ იმას, რომ მძღოლის შრომა ძნელი და მძიმეა, ხელფასი არც თუ ისე დიდია. ამასაც იმით ვიღწევთ, რომ ჩვენი მძღოლები საათობრივ ანაზღაურებაზე გვყავს გადაყვანილი, რაც, რა თქმა უნდა, სხვა უარყოფით მოვლენებს იწვევს. ისინი ტვირთზედის მიხედვით რომ იღებდნენ ჯამაგირს, მაშინ გაცილებით მცირე იქნებოდა მათი შრომის საზღაური.

შრომის უფრო ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ საწარმოს სამგზავრო ტრანსპორტის მძღოლები.

— გეგმებს თუ ასრულებენ თქვენი საწარმოები და საერთოდ გაერთიანებენ? — ვეკითხებით ბენერალურ დირექტორს ტ. ტოგონიძეს.

— გეგმებს ვასრულებთ.

— ცალკეული რაიონების ავტოსატრანსპორტო საწარმოები თუ ასრულებენ გეგმებს?

— ასრულებენ.

— გაერთიანებაში რამდენი კაცი მუშაობს და წლიურად რამდენს ხარჯავთ? თვეში რამდენია საშუალო ხელფასი?

— ოცდახუთი კაცი მუშაობს გაერთიანებაში. თითოეული მუშაკის საშუალო ხელფასი თვეში 200 მანეთს აღემატება. გაერთიანების თანამშრომელთა ხელფასზე წელიწადში 56.075 მანეთი იხარჯება. საერთოდ სიღნაღის, გურჯაანის, საგარეჯოს, წითელწყაროსა და ლაგოდეხის რაიონების ავტოსატრანსპორტო საწარმოებში 1425 კაცი უნდა მუშაობდეს, მუშაობს 1.256.

ესეც, რა თქმა უნდა ხელფასის ფონდის ხარჯვაზე სახიკეთოდ მოქმედებს, მაგრამ...

მაგრამ ის, რომ წნორის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება მძიმე ტვირთად აწვება ხუთი რაიონის ავტოსატრანსპორტო საწარმოებს. აბა, რა დახმარება შეუძლია გაუწიოს წნორის გაერთიანებამ საგარეჯოს საწარმოს, როცა მათ შორის მანძილი სამოც კილომეტრზე მეტია. ფორმალურ ურთიერთდამოკიდებულებას რომ ხეირის მოტანა არ შეუძლია, ახლა ეს აღარავის უკვირს.

ასეთ ფორმალურ ურთიერთობაზე წნორის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს პარტორგანიზაციის კრებაზე არაფერი თქმულა. მაგრამ ჩვენ ვისაუბრეთ რამდენიმე საწარმოს ხელმძღვანელს. გურჯაანის, ლაგოდეხის, წითელწყაროს სატრანსპორტო საწარმოთა ხელმძღვანელები ერთხმად აცხადებენ, რომ წნორის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება ფორმალურია. საქმიანობა არაცერთი სახეობის მანქანას არ არემონტებენ. საწარმოს საავჭროებს, ეზოს არავითარი კეთილი არ ეტყობა, რომ იქ მანქანას არემონტებდნენ. იქ მხოლოდ ჩამოწერილ ავტომანქანებს შლიან და ნახმარ ნაწილებს სათადარიგოდ აძლევენ ამა თუ იმ ობიექტს. ზოგჯერ, რომელიმე ავტომანქანის კვანძს თუ შეაკეთებენ ხოლმე, უმთავრესად წნორის საწარმოებისახ. ეგ არის და ეგ.

ფორმალური გაერთიანებების ყოფნა-არყოფნის შესახებ (ასეთი გაერთიანება რესპუბლიკაში ორ ათეულზე მეტია) ალბათ იმსჯელებენ საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტისა და საავტომობილო გზების სამინისტროს კოლეგიაზე. ეს მითუმეტეს საჭიროა, რომ სამინისტროში არსებობს შესახებმისი სამმართველოები, რომლებიც ავტოსატრანსპორტო საწარმოებს კურირებას უწევენ. ფორმალური გაერთიანება კი მძიმე ტვირთად არ უნდა აწვებოდეს საწარმოებს.

ვახტანგ გოზალიშვილი.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

კოოპერაციის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ცეკავშირის გარდაბნის რაიკოოპკავშირის ვაზიანის ხე-ტყის ბაზის დირექტორს შალვა ტარასის ძე **გაგნიძეს** მიენიჭა „საქართველოს სსრ მომსახურების სფეროს დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

კვების მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ქარელის საკონსერვო ქარხნის უფროს ეკონომისტს ციური სიმონის ასულ **ვარძელაშვილს** მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდება.

კავშირგაბმულობის განვითარების საქმეში წვლილისათვის საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს თბილისის ტელეკიკური მაგისტრალური კავშირების № 1 ტელეკიკური კვანძის უფროსს ნოდარ ფილიპეს ძე **გიორგობიანს** მიენიჭა „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში წვლილისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის ნ. ს. კახიანის სახელობის საგზო კლინიკური საავადმყოფოს ნეიროქირურგიის განყოფილების გამგეს გივი შალვას ძე **ჯაშაკიძეს** მიენიჭა „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

წუნეთის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი ასორტიმენტის განახლებით, თითოეულ სამუშაო უბანზე საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებით, გარჯისა და მატერიალური წახალისების პროგრესული ფორმების დანერგვით წარმატებებს აღწევს. აქაურმა მშრომელებმა მიმდინარე წლის ცხრა თვის გეგმა კარგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით დაამთავრეს. მოწინავეთა რიგებშია გამომჭრელი ნუკრი მათიაშვილი. იგი ყოველდღიური ნორმას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით — 110, ზოგჯერ კი 130 პროცენტით ასრულებს. მიმოზა ოძელაშვილი მკერავია, მის ნახელავს წუნს ვერ უპოვით. მუყაითობამ და შრომისადმი პასუხისმგებლურმა დამოკიდებულებამ მას კოლექტივში ავტორიტეტი მოუპოვა.

სურათებზე: გამომჭრელი ნუკრი მათიაშვილი, სამკერვალო საამქროს ხედი და მოწინავე მკერავი მიმოზა ოძელაშვილი.

ჯაბარ ლომაძის ფოტო („კომუნისტი“).

ახალგაზრდობა—იმედი ხვალის

ხარაგაულის რაიონში ზვარეს სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლები ზვარე, ნუნისი და ჩრდილო თაკვისი რელიეფით და კლიმატით ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ რაიონში. აქ, ამ ტერიტორიაზეა განლაგებული ზვარეს ცნობილი მანერალური წყლების ჩამოსასხმელი ქარხანა, ხუნისის უებარი აბანოები და ზვარეს პიონერთა ბანაკი, რომელთა სიკეთით ჩვენი დიდი ქვეყნის ათასობით ადამიანი სარგებლობს.

აქაური კაცი წლების განმავლობაში მთიანი სოფლის სხვა სირთულეებთან ერთად უგზოობით იტანჯებოდა. მხოლოდ საცალფეხო ბილიკები აკავშირებდა სოფლის ისედაც მოუწესრიგებელ ცენტრალურ გზას მოსახლეობის ვიწრო ორღობეებთან. რაიონის აუტი ეკონომიკა, რიგიანი მატერიალური ბაზის და ტექნიკის უქონლობა ყოველთვის აძნელებდა ახალი გზების გაყვანას. მეურნეობის კრებებზე თუ სოფლის ყრილობებზე ეს საკითხი ყოველთვის იდგა დღის წესრიგში.

ახალი გზის იდეა 1986 წელს სოფელ ჩრდილის ახალგაზრდობის ერთ-ერთ შეკრებაზე იშვა. გადაწყდა, სოფელს თავისი ხარჯით და შრომითი მონაწილეობით გაეკვანა გზა. ეს საქმე მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა, ავღანეთის ომის მონაწილემ, ამ სოფლის მკვიდრმა ემზარ ჩაჩანიძემ ითავა.

გაზაფხულზე ადგილობრივი სახსრებით და შესაძლებლობებით შეკეთდა სასოფლო გზა, რომელიც არ იყო სრულყოფილი. მომდევნო წელს სტუდენტი ახალგაზრდობის რაიონულ შეკრებაზე ემზარმა თავისი გულისნადები ახალგაზრდებს და რაიონის ხელმძღვანელებს გაანდო.

სოფლის სიკეთისათვის გულანთებულ ჭაბუკს რაიონის ხელმძღვანელობა დაეხმარა შეძლებისდაგვარად, მაგრამ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი.

ამოიწურა სოფლის მოსახლეობის და რაიონის ხელმძღვანელთა დახმარების ყოველგვარი შესაძლებლობები. სასოფლო გზის მხოლოდ 20 პროცენტი შეკეთდა. ახალგაზრდობის იდეა და სურვილი ვალებით მალე გაიხსნა ანგარიში № 42601.

ჩაჩანიძე ოცდაათზე მეტ ფაბრიკა-ქარხანას და სამინისტროში იყო ასეთი თხოვნით. სულ მალე ფინანსთა სამინისტრომ 100 ათასი მანეთი ჩარიცხა ამ ანგარიშზე. ასევე ჩაირიცხა გარკვეული თანხები „თბილისრძიდან“, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდან, საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტიდან და სხვა ორგანიზაციებიდან.

შეგროვდა საკმაოდ სოლიდური თანხა. ემზარმა ახლა პოლიტექნიკური ინსტიტუტის საგზო მშენებლობის ფაკულტეტს მიაკითხა, სადაც „მოლითი-ხუნისის“ შვიდკილომეტრიანი გზის ხანგრძლივ პროექტი უფასოდ გააკეთეს.

საკითხი დადგა, ვის უნდა შეესრულებინა სამუშაო. კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში კვლავ შეადგინეს წერილი და საქართველოს საგზაო-სატრანსპორტო სამინისტროში გაუგზავნეს ამ გზის მშენებლობაზე დახმარების თანხის დამატებისა და სამშენებლო ორგანიზაციის გამოყოფის თაობაზე.

სამინისტრომ გამოყო 350 ათასი მანეთი, და გზის მშენებლობა პირველი ტრესტის ხაშურის მეხუთე საგზაო-სარემონტო სამმართველოს დაავალა.

დღის წესრიგში დადგა სამშენებლო მასალის შოვნა. ემზარმა ახლა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს მიმართა, რომელმაც შუამდგომლობა აღძრა საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარესთან ომარ ვარძელაშვილთან.

საგეგმო კომიტეტმა დაუყოვნებლივ გამოყო 350 ტონა ბიტუმი, 500 ტონა ცემენტი, 9 ათასი კუბური მეტრი ღორღისა და ქვიშის ოპტიმალური ნარევი და სხვა მასალები.

ამავე დროს ემზარმა შეადგინა თანაკურსელებისაგან მოხალისეთა სამშენებლო რაზმი, რომლებმაც სამხედრო სამსახური ავღანეთში ბოლომდე იმუშავებს ზვარეში, მათ დიდ დახმარებას უწევს სასოფლო საბჭო, მეურნეობის ხელმძღვანელობა. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული რაზმის წევრები ვალში არ რჩებიან, ეხმარებიან მეურნეობას, მოსახლეობას თვის და შეშის დაჭრადებაში.

რაზმის დიასახლისია ზვარეს საშუალო სკოლის მუშაკი, ქრისტინე მაღლაკელიძე, რომელიც სითბოსა და ყურადღებას არ აკლებს მშრომელ ბიჭებს.

ემზარს სხვა ფიქრიც არ აძლევს მოსვენებას. მან სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის დახმარებით მიაღწია სოფელ ზვარესა და სხვა სოფლებისათვის აიგოს ტელევიზიის სარეტრანსლაციო სადგური, რისთვისაც თანხა უკვე გამოიყო. შესაბამისი დარგის სპეციალისტები ეწვივნენ ზვარეს, დაათვალიერეს ადგილი და დაიწყეს საპროექტო სამუშაოთა შესრულება.

დავემშვიდობეთ „მამულის“ წევრებს. ემზარმა გამოგვაცილა. გამოაცა მასში ამდენმა ენერგიამ და სურვილმა, დაუდგრომელმა სულმა და ათასგვარი წინააღმდეგობა დაძლევის საოცარმა ინტუიციამ. მასში თითქმის ყველაფერია, რითაც უნდა იწვოდეს ყველა ქართველი მამულიშვილი. ასეთებად მოქეჩვენენ რაზმის სხვა წევრებიც. როცა ჭაბუკების გული გულობს, ჩვენ სოფლებს არაფერი გაუჭირდებათ. იმედით და რწმენით აღსავსე დავბრუნდით.

მალე სადგურ მოლითიდან ოფელ ზვარეში, ნუნისსა და ჩრდილში საუკეთესო საავტომობილო გზით ივლიან აქაური მოსახლეობა და დამსვენებლები.

ჰ. შარიქაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

თვალსაზრისი

თუ ეკონომიკური დამოუკიდებლობა გვსურს

ანუ მოკლედ ზოგიერთ საკითხზე, რომელიც უთუოდ უნდა გადაწყდეს

დღეს საქართველოში დიდი პოლემიკაა გაჩაღებული ეკონომიკური დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების შესახებ. პრესაში გამოქვეყნებული მასალები მეტწილად რესპუბლიკის ეკონომიკური სუვერენიტეტის საფუძვლების თეორიულ საკითხებს შეეხება, ხოლო თითქმის უკანა პლანზე რჩება ის კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა განხორციელება აუცილებელია იმისათვის, რომ შრომა დაფასებული იყოს და რესპუბლიკამ თვითონ არჩინოს და აცხოვროს თავისი ხალხი.

ყველა მათგანზე, ცხადია, ერთ წერილში ვერ ვილაპარაკებთ, მაგრამ ჩვენი მრეწველობის მაგალითით ვეცდებით წარმოვაჩინოთ, თუ როგორი უნდა იყოს ყოველი საწარმო და რა ძირითად პირობას უნდა აკმაყოფილებდეს მისი მუშაობა ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებში.

უმთავრესი პირობა ის არის, რომ ყოველი საწარმოს პროდუქცია აუცილებლად კონკურენტუნარიანი იყოს ამ სიტყვის ფართო გაგებით, თანაც არა მარტო ქვეყნის ფარგლებში, არამედ საერთაშორისო ბაზარზეც. კონკურენტუნარიანობაში კი, ცხადია, პროდუქციის ხარისხსა და თვითღირებულებას ვგულისხმობთ. საბჭოთა კავშირში დღემდე არსებული ეკონომიკური სტრუქტურების პირობებში, როცა პროდუქციის მწარმოებელიც და მომხმარებელიც სახელმწიფოა, მის მიერ შექმნილი დაგეგმვისა და განაწილების სისტემა გამორიცხავს კონკურენციას. მწარმოებელიც მხოლოდ ერთი რამით არის დაინტერესებული — როგორმე შეასრულოს გეგმა, ხარისხსა და თვითღირებულებას კი თითქმის არად დაგიდევს. პროდუქციის მომხმარებელსაც არავითარი არჩევანი არა აქვს — მასაც, ისევე როგორც მწარმოებელს, წინასწარ აქვს დაგეგმილი ამ პროდუქტის მოხმარება. არადა, არსებული ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემისა და ეკონომიკური სტრუქტურის რღვევის პირობებში, როდესაც თანდათან უნდა მოისპოს ცენტრალიზებული დაგეგმვისა და განაწილების სისტემები, და მოთხოვნილება ბაზარმა უნდა არეგულიროს, ამოქმედდება მსოფლიოში არსებული მარკეტინგის კანონები და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის საკითხი პირველ პლანზე წამოიწევს.

კონკურენტუნარიანობის კიდევ ერთი ძირითადი პირობა შემოქმედებითობაა. ამაში პროდუქციის ავტორობის ან თანაავტორობის აუცილებლობა იგულისხმება. საწარმოს ინვესტიციური პოლიტიკა აუცილებლად უნდა შეიცავდეს დაბანდებებს ინტელექტუალურ შრომაში, რაც საკვლევი ლაბორატორიების, საკონსტრუქტორო ბიუროების, გამოთვლითი ცენტრების წევრთა შრომის მაქსიმალურ წახალისებაში გამოიხატება. თუ ეს პირობა არ შესრულდა, საწარმოს პროდუქციის ხარისხი მუდამ ცუდი, მოგება კი, რომელიც თვითღირებულებისა და გასაყიდი ფასის სხვაობაა, ყოველთვის მინიმალური იქნება, რადგან პროდუქციის გასაყიდ ფასს ხარისხი და პროდუქტში განსხეულებული ინტელექტუალური შრომა განსაზღვრავს.

თუ საქმისადმი მიდგომა არ შეიცვალა, ვერსად გავექეცვით საქართველოში დღეს არსებულ მდგომარეობას, როცა ჩვენი სამრეწველო საწარმოების უმეტესობა თავისივე პროდუქციის ავტორი კი არ არის, არამედ სხვის მიერ შექმნილი კონსტრუქციებითა და ტექნოლოგიით სარგებლობს, დამოკიდებულია სხვისი ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის დონეზე, თვითონ კი მხოლოდ ტექნიკური შემსრულებელია. ამგვარ სიტუაციას კი მსოფლიო შრომის ინტეგრაციის დღევანდელ პირობებში, განვითარებადი ქვეყნებიც კი გაურბიან, რადგან შრომის ასეთი განაწილება კოლონიალიზმის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა.

რესპუბლიკის ეკონომიკის დამოუკიდებელი ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა მისი საწარმოო რესურსების პოტენციალი. დღეს, დეფორმირებული ეკონომიკური სტრუქტურების არსებობის პირობებში, საქართველოს მრეწველობა მაქსიმალურად არის დამოკიდებული რესურსებით უზრუნველყოფაზე. დღემდე საქართველოს მრეწველობის პერსპექტიულ განვითარებას საკავშირო სამინისტროები და უწყებები უწყებათაშორისი ჰორიზონტალური კავშირების გარეშე ვეგეგმავდნენ და არავინ ითვალისწინებდა ოპტიმალური შრომის განაწილებისა და სარესურსო პოლიტიკას. სამინისტრო, ცხადია, უწყებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობდა, ოპტიმიზაციის კრიტერიუმსაც უწყების ფარგლებში ეძებდა და რესპუბლიკის ინტერესებს თითქმის არ ითვალისწინებდა.

ყველაფერმა ამან განაპირობა ეკონომიკური დამოუკიდებლობის მხრივ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა დღევანდელი უკიდურესად მძიმე მდგომარეობა. საქართველოს სამრეწველო პროდუქციას უმეტეს შემთხვევაში საერთაშორისო ბაზარზე მყიდველი არ ეყოლება და გაწეული შრომაც ფუჭი აღმოჩნდება.

მკითხველისათვის ყველაფერი უფრო ნათელი რომ გახდეს, მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი მეტალურგიიდან და მანქანათმშენებლობიდან. ისინი, რა თქმა უნდა, ახალი არ იქნება, მაგრამ დღევანდელ სიტუაციაში მათზე ყურადღების გამახვილება მაინც საჭიროდ მიგვაჩნია, რადგან ეს საშუალებას მოგვცემს მრეწველობის გარდაქმნის კონკრეტულ ღონისძიებებზე ვიფიქროთ.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. მისი პროდუქცია ფოლადის ნაგლინი და მილებია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მისმა ხელმძღვანელობამ ბევრი რამ გააკეთა, ვერც ფოლადის ნაგლინისა და ვერც მილების ხარისხით მაინც ვერ დავეკვეხნით. კონკურენციის პირობებში ქარხანა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება და, რაკი მყიდველი არ ეყოლება, იძულებული გახდება პროდუქცია თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასში გაყიდოს. ეს ქარხანა წელიწადში მილიონ ორასი ათას ტონა პროდუქციას იძლევა. ნედლეული მთლიანად რესპუბლიკის გარედან შემოდის. ქარხნის პროდუქციის მოცულობა საკავშირო ფოლადის წარმოების ერთ პროცენტსაც არ შეადგენს (თუმცა მილების წარმოების ხვედრითი წილი 10 პროცენტია). ეჭვგარეშეა, რომ იგივე მოცულობის ფოლადი საკავშირო სამინისტროს მარტივად შეუძლია მიიღოს (მილების გარდა) დავალების სხვა საწარმოებზე გადანაწილებით, ყოველგვარი დამატებითი კაპიტალდაბანდებების გარეშე. და ეს ოპტიმალურიც იქნება, რადგან, ცხადია, პროდუქციის წარმოება, მით უმეტეს მეტალურგიულისა, უფრო უპრიანია იქ, სადაც მდანი ახლოს არის, მაშ რა მოელის რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას? მით უფრო, რომ ქარხნის ბილურია. თანაც ერთი ტონა ამგვარი მასალა ქარხნის მიერ ამჟამად წარმოებულ პროდუქციასთან შედარებით ხუთ-ათჯერ ძვირია. ამასთან რესპუბლიკის გარედან ათჯერ ნაკლები რესურსის შემოტანა დაგვჭირდება. ასევე პროპორციულად მცირდება წარმოების ენერგოტევადობა, უმჯობესდება ეკოლოგიური მდგომარეობა. და კიდევ, ეს პროდუქცია, სიახლის გამო, კონკურენტუნარიანია მსოფლიო ბაზარზე და მისი სრულყოფაც ადვილია, ვინაიდან ტექნოლოგიის ავტორები ჩვენი რესპუბლიკის სპეციალისტები არიან.

მეორე მაგალითი: თუ გვინდა, რომ შევინარჩუნოთ ჭიათურის მანგანუმის უკვე გაღარიბებული საბადოები და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა მათი შესაბამისი ინფრასტრუქტურით, დღესვე უნდა დავიწყოთ მოქმედება ჭიათურის ღარიბი მადნებისა და ნარჩენების მარგის „კუდების“ უზარმაზარი რაოდენობის გამოყენებისათვის. საბედნიეროდ, საქართველოში დამუშავებული გამდიდრების ორიგინალური ტექნოლოგიაც ხელთა გვაქვს — ე. წ. მოწვა გრავიტაციული მეთოდის სახით. საჭიროა ვიფიქროთ ერთობლივი პროდუქციის შექმნის მიზნით რუსთავისა და ზესტაფონის ქარხნების ორგანულ კავშირზეც: მაგალითად, ფეროვოლფრამისა და ფერომოლიბდენის წარმოების ათვისებაზე ზესტაფონში და რუსთავის ქარხანაში პოლიკონების წარმოებისათვის ამ პროდუქციის გამოყენებაზე. პრაქტიკულად უნდა ვიზრუნოთ ახალ ინფრასტრუქტურაზე — წარმოების შიგარესუბლიკურ ინტეგრაციაზე, ნედლეულის შემოტანის და ბრუნვის შემცირებაზე.

მესამე მაგალითი: კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანება. მისი ძირითადი პროდუქციაა მილდამმუშავებელი და უნივერსალური სახარატო ჩარხები. ათეული წლების მანძილზე ქარხანას საკმარისად არ უფიქრია უნივერსალური სახარატო ჩარხის სრულყოფაზე. ამიტომ პროდუქცია მორალურად ძველებულია. არც მილდამმუშავებელი ჩარხები და ხაზები აკმაყოფილებენ დღევანდელ მოთხოვნილებას. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითად რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაც გამოგვადგებოდა, ჩვენ ბევრ მილდამმუშავებელი ხაზები აკეთებინე. ფედერალურ ბიუჯეტიდან. ეს ფედერალური ინვესტიციები ეროვნული კატეგორიის ობიექტთა შეფინანსებაა.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ქარვაული ჩარხმშენებლებისა და ხელმძღვანელობის ბრალი არ არის. მაგრამ ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებში მდგომარეობა იცვლება, შესაბამისად პროდუქციის ნომენკლატურაცა და ხარისხიც მკვეთრ ცვლილებას საჭიროებს.

მეოთხე მაგალითი: ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. აქ თითქმის ათი წლის ძანძილზე მიდიოდა სეროიზული რეკონსტრუქცია. ბევრი კარგი რამეც გაკეთდა. შეიცვალა და გაუმჯობესდა ძირითადი ფონდები, მაგრამ პროდუქციის დღევანდელი ხარისხი მაინც არ არის სახარბიელო. ქუთაისური ავტომობილი საკავშირო ბაზარზეც ვერ უძლებს კონკურენციას. ამავე დროს, არსებობს ყველგანმავალის საქართველოში დამუშავებული კონსტრუქცია, რომელიც საკმაოდ კონკურენტუნარიანია, მაგრამ მისი სერიული წარმოება შორეული პერსპექტივის ამბავია.

ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება. საქართველოს რომელი საწარმოც უნდა იღოოთ, ვერც ერთის პროდუქცია ვერ დააკმაყოფილებს ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებში ზემოხსენებულ კრიტერიუმებს.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ საქართველოს მრეწველობა ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოთა შიდარესპუბლიკურ ინტეგრაციას. აუცილებლად უნდა ეცადოთ მაქსიმალური ჰორიზონტალური საწარმოო კავშირების დამყარება, საკუთარი რესურსებით ჩაკეტილი საწარმოო ციკლების შექმნა, რასაც შიდარესპუბლიკური კონცერნების შექმნის საჭიროებასთან მივყავართ.

ასეთი კონცერნის მაგალითად შეიძლება გამოდგეს საკუთარი რესურსების ბაზაზე შექმნილი ელექტრონული მრეწველობის კონცერნი, რომლის ნედლეულის ბაზა რაჭის დარიშხანის საბადოები იქნება. ასათვისებელია გალიუმის არსენიდის მონოკრისტალების წარმოება და ამ ბაზაზე თანამედროვე სწრაფმოქმედი ელექტრონული მიკროსქემების შექმნა და წარმოება. ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე ნათლად გამოჩნდა, რომ ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება ელექტრონული მრეწველობის განვითარების დონეზეა დამოკიდებული. იმისათვის, რომ საქართველო თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახდეს, მან, ალბათ, ელექტრონული ინდუსტრია უნდა განავითაროს.

ერთ პუბლიკაციაში ძნელია ყველა პრობლემის განხილვა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებში მისი მრეწველობა ძირეულ გარდაქმნას მოითხოვს.

თეიმურაზ ლოლაძე,
აკადემიკოსი.

კურორტი და დამსვენებელი

ცხრა ძიძის ხელში—ბედის ანაბარად

ნასაკირალის სამკურნალო წყლები შემთხვევით აღმოაჩინეს 1920 წელს. მღვდლის მეავანაძის მეცადინეობითა და უშუალო ხელშეწყობით ქალაქ ოდესის ლაბორატორიაში შეისწავლეს ამ წყლების სამკურნალო თვისებები და დაადგინეს, რომ იგი შეიცავს მთელ რიგ სამკურნალო ღირსებებს, ასე ჩაეყარა საფუძველი ნასაკირალის კურორტს. თავდაპირველად სამკურნალო წყლების მოპოვება და გამოყენება ძალზე პრიმიტიულად ხდებოდა. უხუცესნი იმასაც ამბობენ, ხალხი ძლივს მიიკვლევდა გზას ულრან ტყეში და ისე ჩადიოდა სამკურნალო წყაროებთანო, მათ თან ჩაქონდათ ქვაბები, ტაშტები და პირდაპირ ღია ცისკვეშ იღებდნენ აბაზანებს. ზოგი ავადმყოფი საკაცითაც ჩამოჰყავდათ თურმე. შემდეგ კი სოფელ ძიმითის მოსახლეობამ, რომლის ტერიტორიაზეცაა ეს კურორტი, სამკურნალო წყლებთან საურმე გზა გაიყვანა. ააგეს სახელდახელო შენობები, უფრო მოგვიანებით კი მათივე ინიციატივით აშენდა საბაზანო ნაგებობანი.

გავიდა ხანი. 1938 წელს ნასაკირალის სამკურნალო წყლები ოზურგეთის აფგილმრეწველობის გამგებლობას გადაეცა. დაიწყო კეთილმოწყობის სამუშაოები: პირველ რიგში ბურღვითი-საძიებო, რომლის დროსაც კურორტის ტერიტორიის ორ მონაკვეთში აღმოჩნდა საბაზანო-სამკურნალო წყლები, ერთ ადგილას კი სამკურნალო სასმელი წყალი. რაც მართალია, მართალია, ყველაზე ეფექტიანი, შრომატევადი ღონისძიებანი სწორედ ამ წლებში მოხდა: გაფართოდა კურორტის ტერიტორია, კეთილმოეწყო მისი შემოგარენი, გაკეთდა მისასვლელი გზები, გაიხსნა სასადილო და სხვა დამხმარე ნაგებობანი.

1946 წლიდან ეს კურორტი რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებას დაუქვემდებარეს. ოზურგეთის მაშინდელმა პარტიულმა და საბჭოთა სამეწარმოქმედო ორგანიზაციებმა თავიანთი სახსრებით ააგეს მრავალი ერთსართულიანი სტანდარტული სახლი. მარტო ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ააგო ორსართულიანი კაპიტალური ბინა — სამიოე კორპუსი. კოლმეურნეობების ერთობლივი ძალებით გაიყვანეს საავტომობილო ასფალტირებული გზა, დაინიშნა ექიმი, შომსახურე პერსონალი.

1966 წელს კი ნასაკირალის სამკურნალო წყლები კურორტ ნასაკირალის სახელწოდებით ჩაიბარა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ. სწორედ ამ პერიოდში მოხდა რადიკალური გარდაქმნა, კურორტი მართლაც კურორტს დაემსგავსა. შეიქმნა კლინიკური და ბიოქიმიური ლაბორატორიები, ფიზიო განყოფილება, მასაჟის კაბინეტი, დაწესდა სტაციონარული ტიპის მკურნალობა. აშენდა კლუბი, სასადილო, ძველ ბინებს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი.

ასე გადიოდა წლები. დამსვენებლები, სამკურნალოდ ჩამოსული ადამიანები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ აქაური მომსახურებით. და აი, 1984 წელს კურორტს კვლავ შეეცვალა პატრონი. ამჯერად იგი სამკურნალო სამინისტროთა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივი კურორტების რესპუბლიკურ გაერთიანებას დადასცეს და ასე ჩაეფალეს, კიდევ უფრო აღორძინდება და განვითარდებაო იგი, მაგრამ ყველას გასაოცრად, კურორტის ბედის ჩარხმა უკუღმა იწყო ტრიალი.

ამ დღეებში ვინახულეთ ნასაკირალი, მოვიარეთ მისი ყველა კუთხე-კუნჭული, ვესაუბრეთ ავადმყოფებს, სამკურნალოდ ჩამოსულთ, რომლებიც სამართლიან საყვედურს გამოსთქვამენ აქაურ პირობებსა და მომსახურებაზე.

მომსახურების რაიმე დონეზე აქ ლაპარაკიც ზედმეტია. ის კი არა, 5 წელია, რაც ავადმყოფთა საძილე კორპუსის რემონტი დაიწყეს და იგი დღემდე ჭიანურდება, რაც შეაკეთეს, ისიც უხარისხოა და თავდან მოითხოვს შეკეთებას. კარ-ფანჯრები ღამის თავისით ჩამოვარდეს, არც იკეტება, არც იღება. სარემონტო სამუშაოებს „საკკურორტის“ წყალტუბოს სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაცია (უფროსი ლერი მხეიძე) ასრულებს, მაგრამ რად გინდა?! ერთი თვეა სათოფე

მხედრული დიდება

ქართული დივიზიები დიდ სამამულო ომში

...თითოეული ნახევარი საუკუნეა, ათასი ქვემეხის ოცდაათმა მოწიანვე კაცობრიობას ... დიდ სამამულო ომში ჩვ... ისტორიული გამარჯვება. ბუ... რავია, არ შეხელებულა საბ... ადამიანების ყურადღება ... ინტერესი ამ გამარჯვების სა... ... და წყარობისადმი. ... კანონზომიერი მოვლენაა, რა... ... არნახულ ომში, უდიდესი ... ეროვნული და სულიერი ძალების ... გამოცდის ქამს, ჩვენმა ... უმაგალითო ეკონომიკუ... ... სოციალური, მატერიალური ... ... გაიღო, ადამიანთა გა... ... შესაძლებლობა გამოა... ...

ეროვნულ ... ამით კანონზომიე... ... ამაყობს ქართველი ერი, ...

ᲥᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

ᲑᲝᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲐᲜᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲗᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ, ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲛᲘᲠᲗᲚᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲘᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲓᲔᲑᲘᲗᲘᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ, ᲣᲤᲝᲜᲘᲠᲘᲚᲐᲓ ᲡᲬᲝᲠᲘᲡᲐᲓ ᲐᲛᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲑᲡ ᲙᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲓᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ. ᲐᲚᲑᲐᲗ ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ, Ი. ᲒᲠᲘᲜᲨᲔᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ-ᲔᲗᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ „ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ“ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ, ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲐᲫᲘᲡ, ᲗᲘᲐ ᲯᲣᲗᲐᲗᲔᲚᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲜᲐ ᲪᲘᲜᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲓᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲜᲐᲪᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ.

ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓ ის ფაქტი, რომ სტუდენტური გამოფენები ეწყობა, საინტერესო და სასარგებლოა, როგორც ჩვენთვის, პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ასევე თვით სტუდენტებისთვისაც. ისინი აქედანვე ეჩვევიან აუდიტორიას, იმ აზრის მოთმინებით აღქმას, რომელიც მნახველს მათი ნამუშევრების დათვალიერების შემდეგ ექმნება. რაც მთავარია, ეს გაკოფენა თემატურად და სტილისტურად არ არის შეზღუდული. ოთხივე ქალიშვილი მეტად თავისებურად მუშაობს. მართალია, მათ შემოქმედებაში, ბევრი რამ უკვე ნაცნობია, განვლილია, მაგრამ ეს, ის ეტაპია, რომელიც ყველა მხატვარმა უნდა გაიაროს. ეს „საყმაწვილო სენია“, და მას, არ უნდა ებრძოლო, მას თავისთავად დასძლევს ნამდვილი შემოქმედი. — თქვა თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორმა **თენგიზ ფერაძემ.**

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი **დინარა ნოდია:** — უწინარესად, ვულოცავ ახალგაზრდებს ამ დღესასწაულს, ეს ის თაობაა, რომელიც თანამედროვე ქართული ფერწერის ტრადიციებს გააგრძელებს. ამ გამოფენაზე თვალნათლივ ვხედავთ ჩვენი შრომის ნაყოფს, მივესალმები ყველა ინდივიდუალურ გამოვლენას. მით უფრო, როცა სამე ქალების შემოქმედებას ეხება. ქალთა ვერნისაჟი ყოველთვის შეტოქეობს მამაკაცთა გამოფენებს და რაც მთავარია, კი არ ჩამოვრჩებით მათ, ზოგჯერ ვჯობნით კიდეც.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲠᲬᲠᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲠᲤᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲘᲣᲬᲧᲝᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲪᲐᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ. ᲔᲡ ᲒᲐᲡᲐᲙᲘᲗᲠᲘ ᲐᲠᲪᲐᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ ᲓᲦᲔᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲠᲬᲠᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲯᲔᲑᲐᲓ, ᲔᲠᲗᲐᲓᲐᲗᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲛᲝᲗᲔᲚᲘ ᲛᲗᲘᲡᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲓᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲛᲐᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲓᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲛᲝᲑᲐᲨᲘ — ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲠᲐᲛ ᲣᲙᲕᲔ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘᲐ, ᲒᲐᲜᲒᲚᲘᲚᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ, ᲘᲡ ᲔᲢᲐ�პᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲐᲠᲝᲡ. ᲔᲡ „ᲡᲐᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲡᲔᲜᲘᲐ“, ᲓᲐ ᲛᲐᲡ, ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲑᲠᲫᲝᲚᲝᲡ, ᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓ ᲓᲐᲡᲫᲚᲔᲕᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲓᲔᲑᲘ. — თქვა თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორმა **თენგიზ ფერაძემ.**

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი **დინარა ნოდია:** — უწინარესად, ვულოცავ ახალგაზრდებს ამ დღესასწაულს, ეს ის თაობაა, რომელიც თანამედროვე

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ